



პრესრელიზი

ბიზნესის წარმოება: საქართველომ გლობალურ რეიტინგში მე - 6 ადგილზე გადაინაცვლა

თბილისი, 31 ოქტომბერი, 2018 – მსოფლიო ბანკის ჯგუფის ყოველწლიურ ანგარიშში „ბიზნესის წარმოების შესახებ“, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სიმარტივეს აფასებს, საქართველო მსოფლიოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ათ ქვეყანას შორის თავის პოზიციას ინარჩუნებს. საქართველომ წელს გლობალურ რეიტინგში მე - 6 ადგილზე გადაინაცვლა და, ამჟამად, ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში უმაღლესი შეფასების მქონეა.

საქართველოსთან და მაკედონიასთან ერთად, რომლებმაც წლებიდან ანგარიშში შესაბამისად მე-6 (საქართველომ წინ სამი პოზიციით წაიწია) და მე -10 ადგილები დაიკავეს (მაკედონიამ წინ ერთი ადგილით გადაინაცვლა), რეგიონის ორი ქვეყანა ლიდერობს თავისი მაჩვენებლების გაუმჯობესების თვალსაზრისით, ესენია აზერბაიჯანი და თურქეთი. მთლიანობაში ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში რეფორმების ტემპმა იმატა და გასული წლის განმავლობაში 54-ს მიაღწია (წინა წელს ეს მაჩვენებელი 43 იყო). მიუხედავად იმისა, რომ რეფორმებმა რეგიონში ბიზნესის წარმოების ყველა სფერო მოიცვა, განსაკუთრებით ბევრი წინსვლა მაინც სამშენებლო ნებართვების გაცემის გამარტივებაში და საერთაშორისო ვაჭრობაში აღინიშნა. რეგიონის 23 ქვეყნიდან თითქმის ყველამ გაატარა რეფორმები, რომლებიც ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას და კერძო საწარმოების გააქტიურებას.

„ძალზე კმაყოფილი ვარ საქართველოს მაჩვენებლებით ბიზნესის წარმოების ინდექსთან დაკავშირებით. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ქვეყანა უწყვეტად აუმჯობესებს თავის რეიტინგს, რაც პროგრესული რეფორმების დღის წესრიგისადმი საქართველოს მთავრობის ერთგულების და გაუმჯობესებული სამეწარმეო გარემოს დასტურია“ - აღნიშნა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, მერსი ტემზონმა.

საქართველოში შემდეგი სამი რეფორმა გატარდა:

- გაიოლდა ბიზნესის დაწყება რეგისტრაციის შემდგომი პროცედურების შემცირებით ან გამარტივებით (საგადასახადო რეგისტრაცია, სოციალური უზრუნველყოფის რეგისტრაცია, ლიცენზირება);
- გაადვილდა გადასახადების გადახდა ახალი ან მნიშვნელოვნად გადამუშავებული საგადასახადო კანონმდებლობის შემოღებით, საგადასახადო კანონშესაბამისობის პროცესების გამარტივებით და შესავსები საგადასახადო ფორმების ან გადახდების რაოდენობის შემცირებით;
- გამარტივდა ხელშეკრულებების აღსრულების პროცესი ელექტრონული გადახდის და პროცესების საშუალებით სასამართლო სერვისების ავტომატიზაციის გაფართოებით, მოსამართლეთა შორის საქმეების ელექტრონული განაწილებით და გადაწყვეტილებების გამოქვეყნებით.

ბიზნესის დაწყების თვალსაზრისით საუკეთესო მარეგულირებელ პრაქტიკასთან არსებული ფარდობითი ჩამორჩენა საქართველომ ყველაზე მეტად 2017 – 2018 წლებში შეამცირა. მანამდე კომპანიის რეგისტრაციის შემდეგ მეწარმეებს უწევდათ შემოსავლების სამსახურში ცალკე მისვლა დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად

რეგისტრაციისთვის. საქართველომ ასევე გააფართოვა არსებული ერთი ფანჯრის პრინციპი კომპანიის რეგისტრაციისთვის და მეწარმეებს მისცა კომპანიის ერთი პროცედურის საშუალებით დაფუძნების საშუალება.

„მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების 2019 წლის ანგარიშში (Doing Business 2019) საქართველოს მიღწეული ახალი შედეგი და ქვეყნის პოზიციების გაუმჯობესება, კიდევ ერთხელ ადასტურებს ბიზნესგარემოს შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების ეფექტიანობას. სწორედ ამ რეფორმების შედეგია ის, რომ საქართველო ბიზნესის კუთების მსოფლიო რეიტინგში სამი საფეხურით დაწინაურდა და მე-9 ადგილიდან მე-6 ადგილზე გადაინაცვლა. რეიტინგში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოგების გადასახადის რეფორმამ, რომელმაც ბიზნესისთვის მნიშვნელოვნად, 40%-ით შეამცირა საგადასახადო ტვირთი, ხოლო გადასახადების გადამხდელთათვის გადასახადების დეკლარირების დრო შემცირდა, დაახლოებით, 20%-ით. მსურს ვისარგებლო შემთხვევით და მსოფლიო ბანკს კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო საქართველოს რეფორმების დღის წესრიგის მტკიცე მხარდაჭერისათვის,“ განაცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა.

მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ ანგარიშში ბიზნესის წარმოების შესახებ, პირველ ათეულში შემავალი ქვეყნები გახლავთ ახალი ზელანდია, სინგაპური და დანიის სამეფო, რომლებიც მეორე წელია შესაბამისად პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე იმყოფებიან, მათ შემდეგ მოსდევს ჰონგ-კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი, ჩინეთი, კორეის რესპუბლიკა, საქართველო, ნორვეგია, ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია.

ანგარიშის სრული ვერსია და დანართები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.doingbusiness.org

საკონტაქტო პირები:

ვაშინგტონი: ინდირა ჩანდი +1 (202) 458-0434, +1 (703) 376-7491, ichand@worldbank.org

თბილისი: ინგა პაიჭაძე +995 32 (913 096), ipachadze@worldbank.org

პრესრელიზი

2019/ECA/51